დამტკიცებულია:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის გამგეობის 2026 წლის 7 ივლისის სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის სარევიზიო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (შემდგომში – ფედერაცია) სარევიზიო კომისიის (შემდგომში – კომისია) სამართლებრივ სტატუსს, საქმიანობის მიზანს, უფლებამოსილებებს, მუშაობის წესს, წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს, ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

1.2. კომისია წარმოადგენს ფედერაციის დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ფედერაციის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის, ქონების გამოყენების, ბიუჯეტის შესრულების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების კანონიერების, სისწორისა და გამჭვირვალობის კონტროლს.

1.3. კომისია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, ფედერაციის წესდების, წინამდებარე დებულებისა და ფედერაციის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1.4. კომისია თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს კანონიერების, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმის, კონფიდენციალურობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებით.

1.5. კომისია ანგარიშვალდებულია ფედერაციის საერთო კრების წინაშე და თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს საერთო კრებას არანაკლებ წელიწადში ერთხელ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – გამგეობას.

1.6. კომისიის საქმიანობა მიზნად ისახავს ფედერაციის ქონებისა და ფინანსური რესურსების ეფექტიანი, მიზნობრივი და კანონშესაბამისი გამოყენების ხელშეწყობას, ფინანსური დისციპლინის განმტკიცებას, რისკების დროულ გამოვლენასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

მუხლი 2. კომისიის სტატუსი და ფორმირება

2.1. კომისია წარმოადგენს ფედერაციის მუდმივ მაკონტროლებელ ორგანოს.

2.2. კომისია აირჩევა სამი წლის ვადით სამი წევრის შემადგენლობით.

2.3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფედერაციის წევრი.

2.4. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს ფედერაციის საერთო კრება, ხოლო კომისიის ორ წევრს – ფედერაციის გამგეობა, ფედერაციის წევრთა რიგებიდან.

2.5. კომისიის წევრი ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ფედერაციის ინტერესების დაცვით.

2.6. კომისიის წევრი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ფედერაციის გამგეობის წევრი, აღმასრულებელი მენეჯერი, ფედერაციის თანამშრომელი ან იკავებდეს ისეთ თანამდებობას, რომელიც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს კომისიის ფუნქციების შესრულებისას.

2.7. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრი აირჩევა იმავე წესით, რა წესითაც არჩეულ იქნა შესაცვლელი წევრი, დარჩენილი ვადით.

მუხლი 3. კომისიის მიზანი და ამოცანები

3.1. კომისიის მიზანია ფედერაციის ფინანსური, სამეურნეო და ორგანიზაციული საქმიანობის კანონიერების, მიზნობრიობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა, ფედერაციის ქონებისა და ფინანსური რესურსების დაცვის უზრუნველყოფა და შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფის მხარდაჭერა.

3.2. კომისიის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფედერაციის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის კონტროლის განხორციელება;

ბ) ფედერაციის ბიუჯეტის შესრულების, შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის შეფასება;

გ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისწორისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;

დ) ფედერაციის ქონების, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება;

ე) ფინანსური რისკების, შიდა კონტროლის სისუსტეებისა და შესაძლო დარღვევების გამოვლენა და მათი პრევენციის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

ვ) ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის კონტროლის შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა;

ზ) ფედერაციაში ანგარიშვალდებულების, ფინანსური დისციპლინისა და კეთილსინდისიერი მმართველობის ხელშეწყობა.

მუხლი 4. კომისიის კომპეტენცია

4.1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ამოწმებს ფედერაციის ფინანსურ და სამეურნეო საქმიანობას;

ბ) ამოწმებს ფედერაციის წლიური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობას;

გ) სწავლობს საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და პირველადი დოკუმენტაციის წარმოების მდგომარეობას;

დ) ამოწმებს ფედერაციის ქონების, ფულადი სახსრებისა და სხვა აქტივების აღრიცხვასა და გამოყენებას;

ე) სწავლობს ფედერაციის მიერ დადებული ხელშეკრულებების ფინანსურ ასპექტებს, საჭიროების შემთხვევაში;

ვ) შეისწავლის ფედერაციის ფინანსურ ვალდებულებებსა და მათი შესრულების მდგომარეობას;

ზ) აფასებს ფედერაციაში მოქმედი შიდა კონტროლისა და ფინანსური მართვის მექანიზმების ეფექტიანობას;

თ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს თემატურ ან მიზნობრივ შემოწმებებს;

ი) ადგენს შემოწმების აქტებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

კ) საჭიროების შემთხვევაში გამგეობას ან საერთო კრებას წარუდგენს წინადადებებს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად;

ლ) აკონტროლებს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას;

მ) ახორციელებს წესდებით, წინამდებარე დებულებითა და ფედერაციის სხვა შიდა აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ნ) საჭიროების შემთხვევაში, ფედერაციის საერთო კრებას ან გამგეობას წარუდგენს წინადადებებს ფედერაციის შიდა კონტროლის, ფინანსური მართვისა და ანგარიშვალდებულების სისტემის სრულყოფის შესახებ.

მუხლი 5. კომისიის უფლებები

5.1. კომისიას უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოითხოვოს ფედერაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, ინფორმაცია და განმარტება;

ბ) მოითხოვოს ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამშრომლებისაგან საჭირო ინფორმაციის დროული წარმოდგენა;

გ) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტები, ექსპერტები ან კონსულტანტები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ფედერაციის წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას;

დ) მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც დაკავშირებულია კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგებთან;

ე) გამგეობას წარუდგინოს რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად და შიდა კონტროლის გაუმჯობესების მიზნით;

ვ) მოითხოვოს განმეორებითი შემოწმების ჩატარება, თუ ამის აუცილებლობა გამოიკვეთება;

ზ) წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 6. კომისიის წევრთა უფლებები და მოვალეობები

6.1. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის საქმიანობასა და ყველა სხდომაში;

ბ) გაეცნოს კომისიის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას;

გ) დააყენოს საკითხები კომისიის სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

დ) გამოთქვას მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;

ე) მოითხოვოს საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტებისა და განმარტებების წარმოდგენა, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

ვ) განსაკუთრებული აზრის არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს მისი სხდომის ოქმში ასახვა;

ზ) ისარგებლოს ფედერაციის შიდა აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

6.2. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად, ობიექტურად და მიუკერძოებლად განახორციელოს თავისი უფლებამოსილება;

ბ) დაიცვას ფედერაციის წესდება, წინამდებარე დებულება და სხვა შიდა აქტები;

გ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის საქმიანობასა და სხდომებში;

დ) უზრუნველყოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა კანონით ან ფედერაციის შიდა აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი და მისი არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო თუ ინტერესთა კონფლიქტი თავმჯდომარეს ეხება — კომისიის სხვა წევრებს;

ვ) თავი შეიკავოს იმ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისგან, რომელშიც პირადი ან სხვა სახის ინტერესის არსებობა გავლენას ახდენს ან შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე;

ზ) უზრუნველყოს კომისიის საქმიანობის პროფესიული, ეთიკური და დამოუკიდებელი განხორციელება.

მუხლი 7. კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება

7.1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს კომისიას ფედერაციის ორგანოებთან, წევრებთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებთან ურთიერთობაში;

გ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

დ) ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგის პროექტს;

ე) ანაწილებს მოვალეობებს კომისიის წევრებს შორის;

ვ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს, აქტებს, დასკვნებს, რეკომენდაციებსა და სხვა დოკუმენტებს;

ზ) აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობას;

თ) საერთო კრებას წარუდგენს კომისიის საქმიანობის ანგარიშს;

ი) ასრულებს წინამდებარე დებულებითა და ფედერაციის სხვა შიდა აქტებით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

7.2. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას კომისიის გადაწყვეტილებით ახორციელებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 8. კომისიის სხდომები და გადაწყვეტილებების მიღების წესი

8.1. კომისიის საქმიანობის ძირითადი ფორმაა სხდომა.

8.2. კომისიის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ.

8.3. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს:

ა) კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით;

ბ) კომისიის წევრთა არანაკლებ ორი წევრის მოთხოვნით;

გ) ფედერაციის გამგეობის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე;

დ) ფედერაციის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

8.4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

8.5. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8.6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8.7. სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

8.8. საჭიროების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება ჩატარდეს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, თუ უზრუნველყოფილია წევრთა იდენტიფიცირება, განხილვაში მონაწილეობა და კენჭისყრის სანდოობა.

მუხლი 9. შემოწმების ჩატარების წესი

9.1. კომისია ახორციელებს გეგმიურ და არაგეგმიურ (სპეციალურ) შემოწმებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

9.2. გეგმიური შემოწმება ტარდება კომისიის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, ხოლო არაგეგმიური შემოწმება შეიძლება განხორციელდეს:

ა) კომისიის გადაწყვეტილებით;

ბ) ფედერაციის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) ფედერაციის გამგეობის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე;

დ) სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში, როდესაც არსებობს ფედერაციის ფინანსური ან სამეურნეო საქმიანობის შემოწმების აუცილებლობა.

9.3. შემოწმების მიმდინარეობისას კომისიას უფლება აქვს გაეცნოს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციას, მოითხოვოს წერილობითი ან ზეპირი განმარტებები და შეისწავლოს სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

9.4. შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, დასკვნით ან ანგარიშით, რომელშიც აისახება გამოვლენილი გარემოებები, შეფასებები, რეკომენდაციები და, საჭიროების შემთხვევაში, წინადადებები გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

9.5. შემოწმების დასრულების შემდეგ კომისია უფლებამოსილია შესაბამის ორგანოებს წარუდგინოს რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების, ხარვეზებისა და სისტემური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

9.6. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს განმეორებითი შემოწმება მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად.

მუხლი 10. ანგარიშგება და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

10.1. კომისია ჩატარებული შემოწმების შედეგების საფუძველზე ამზადებს აქტს, დასკვნას ან ანგარიშს, რომელშიც აისახება გამოვლენილი გარემოებები, შეფასებები, დასკვნები და რეკომენდაციები.

10.2. კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტები წარედგინება ფედერაციის გამგეობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ფედერაციის საერთო კრებას.

10.3. კომისია უფლებამოსილია გამგეობას წარუდგინოს რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, ფინანსური მართვის, შიდა კონტროლისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

10.4. კომისია პერიოდულად განიხილავს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის ინფორმაციას ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის.

10.5. კომისია საერთო კრებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობისა და ჩატარებული კონტროლის შედეგების შესახებ.

მუხლი 11. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და კონფიდენციალურობა

11.1. კომისია საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების საფუძველზე.

11.2. კომისიის წევრი ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისგან, რომელშიც მას პირადი, ფინანსური ან სხვა სახის ინტერესი გააჩნია ან არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.

11.3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომისიის სხვა წევრებს და არ მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

11.4. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან მათთვის ცნობილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან ფედერაციის შიდა აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.5. კომისიის საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მუხლი 12. ორგანიზაციული უზრუნველყოფა

12.1. კომისია დამოუკიდებლად გეგმავს თავის საქმიანობას და განსაზღვრავს შემოწმებების ჩატარების ფორმებსა და მეთოდებს.

12.2. კომისიის სხდომები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები ფორმდება შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც ინახება ფედერაციის დოკუმენტბრუნვის წესების შესაბამისად.

12.3. კომისიის დოკუმენტაცია წარმოადგენს ფედერაციის ოფიციალური დოკუმენტაციის ნაწილს და ინახება დადგენილი წესით.

მუხლი 13 დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.

13.2. დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ ფედერაციის წესდება სხვა წესს არ ითვალისწინებს.

13.3. დებულებით გაუთვალისწინებელ საკითხებზე გამოიყენება ფედერაციის წესდება და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

13.4. დებულება ძალაში შედის ფედერაციის გამგეობის მიერ მისი დამტკიცების დღიდან.